

## დასკვნები

1. დაკვირვების პერიოდში კატალიზატორის შემდეგ აირში არსებული აზოტის ოქსიდების შემცველობა ნორმის ფარგლებშია.
2. თერმოდინამიკური გათვლების საფუძველზე საჭიროა დაზუსტდეს, თუ როგორია მოცემულ პირობებში გარდაქმნის ხარისხის თეორიული მნიშვნელობა.
3. გაწმენდის პროცესზე დაკვირვების შედეგებმა უჩვენა, რომ გაწმენდის ხარისხი იცვლება 30-50%-ის ფარგლებში
4. თერმოდინამიკური გათვლების შედეგად დადგენილია, რომ ბუნებრივი აირით გაწმენდისას მიმდინარე ყველა შესაძლო რეაქციის თავისუფალი ენერჯის მნიშვნელობა იმდენად დაბალია, რომ წონასწორობა მთლიანად უნდა იყოს გადახრილი რეაქციის პროდუქტების მიღების მიმართულებით და რეაქცია უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკულად ბოლომდე.
5. თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ წარმოებაში დანერგილი პროცესი არ მიმდინარეობს ოპტიმალურ პირობებში, ანუ ისეთ პირობებში, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა „კუდის აირების“ გაწმენდის უფრო მაღალი თუ არა 100%-ს მიახლოებული ხარისხის მიღწევა.
6. ჩვენი აზრით „კუდის აირების“ გაწმენდის მაღალი ხარისხის მიღწევა შესაძლებელია ორი სხვადასხვა გზით:
  - კატალიზატორზე აირის დაყოვნების დროის გაზრდით ან
  - ახალი უფრო ეფექტური და მაღალ აქტიური კატალიზატორის შექმნით

ახლო მომავალში გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის გაძლიერება ხელშემწყობი ფაქტორი გახდება ამ მიმართულებით სამუშაოების განხორციელებისათვის.